KA070187123958914

საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტრო

Ministry of Culture
and Monument Protection of
Georgia

0105, ქ.თბილისი, სანაპირის ქ. N4, ტელ:2 -996-377; ფაქსი: (+99532) 2-987-430
4 Sanapiro str. Tbilisi 0105, Georgia. Fax: (+99532) 2-987-430 Phone: 2 -996-377

www.culture.gov.ge E-mail: pr@culture.gov.ge

N04/11-717

13 / თებერვალი / 2014 წ.

მწვანე ალტერნატივას

თქვენი მიმდინარე წლის 28 იანვრის N949 გაცხადების პასუხად წარმოგიდგენთ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით არსებულ ინფორმაციას.

დანართი 60 ფურცელი.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი

96-122

KA070122760213614

საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტრო

Ministry of Culture
and Monument Protection of
Georgia

0105, ქ.თბილისი, სანაპიროს ქ. N4. ტელ:2 -996-377; ფაქსი: (+99532) 2-987-430
4 Sanapiro str. Tbilisi 0105. Georgia. Fax: (+99532) 2-987-430 Phone: 2 -996-377

www.culture.gov.ge E-mail: pr@culture.gov.ge

N02/08-44 **08 / იანვარი / 2014 წ.**

კომპანია „ ტრანს ელექტრიკა
ჯორჯია'-ს

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილი (#63 03.12.2013) თანდართულ დოკუმენტაციასთან ("დაბა ხაიშისა და მიმდებარე ტერიტორიების არქიტექტურული ძეგლების ინვენტარიზაციის ანგარიში" 2013 წ. "სვანეთში, ხუდონჰესის მშენებლობის (დატბორვის) ზონაში ჩატარებული II ეტაპის არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში" 2013 წ. ნოემბერი) ერთად, რომელიც ეხება ხუდონჰესის მშენებლობისთვის შერჩეულ საპროექტო ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, განხორციელებულ კვლევებს. წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს, რომ ხაიშის წმინდა გიორგის სახ. ეკლესიის გარდა, რომელიც განახლებული და სრულიად სახეცვლილია 2009 წელს განხორციელებული სამუშაოების შედეგად, დატბორვის ზონაში არ ხვდება ისტორიულ-არქიტექტურული არცერთი სხვა ობიექტი.

რაც შეეხება არქეოლოგიურ მემკვიდრეობას, ბიბლიოგრაფიულ-საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით, სადაც დატბორვის ზონაში დაფიქსირებული იყო 10 ობიექტი, განხორციელდა სადაზვერვო სამუშაოები, რათა მომხდარიყო ამ ობიექტების იდენტიფიცირება საარქივო მონაცემების მიხედვით. სადაზვერვო სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ შესაძლებელი გახდა, მხოლოდ 6 არქეოლოგიური ობიექტის საარქივო მონაცემებთან იდენტიფიცირება. 4 ობიექტის გამოვლენა ვერ მოხერხდა. აღნიშნული 6 ობიექტი შესწავლილია სრულად.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე საპროექტო ტერიტორიის ის მონაკვეთი, სადაც უნდა აშენდეს კაშხლის ტანი სტერილურია არქეოლოგიური თვალსაზრისით, შესაბამისად იქ მშენებლობის წარმოება, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, მიგვაჩნია დასაშვებად.

რაც შეეხება მიწის საპროექტო ნაკვეთის დანარჩენ ნაწილს (დატბორვის ზონა), მისი სრულად და ამომწურავად შესწავლის მიზნით აუცილებელია საქმის მწარმოებელთა მხრიდან უზრუნველყოფილ იქნას დამატებითი არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩატარება.

მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი

TRANS ELECTRICA GEORGIA
Address: #10 Office, #11 Chitadze Str. Tbilisi, Georgia, Zip 0114. Tel/Fax: +995 322 258868
www.transelectrica.com info@transelectrica.ge

N 63-03.12.2013

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს
ბატონ მირიანე ოდიშარიას

ბატონო მირიანე,

კომპანია „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია" 2009 წლიდან საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე მუშაობს ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელებაზე. ხუდონჰესის, ენგურჰესის შემდგომ სიდიდით მეორე ჰიდროელექტროსადგურის, მშენებლობის საკითხი უმნიშვნელოვანესია და სასიცოცხლოდ აუცილებელია საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. თქვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ აღნიშნული პროექტი ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი საინვესტიციო პროექტია.
გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - არქეოლოგიურმა ასოციაციამ შეასრულა არქეოლოგიური სამუშაოები ხუდონჰესის პროექტის ზემოქმედების არელში მოქცეულ ტერიტორიაზე-დატბორვის ზონაში. არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა პირველი ეტაპის არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად იდენტიფიცირებულ ობიექტებზე.

შესწავლების შედეგად გამოვლინდა, რომ ხუდონჰესის კაშხლის ტანის სამშენებლო ზონაში არ გვხდება არქეოლოგიური ობიექტები და შესაძლებელია მშენებლობის დაწყება, გარდა ამისა სრულად არის შესწავლილი და გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტები.

სახელმწიფოსათვის ხუდონჰესის მშენებლობის სტრატეგიულობიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ ანგარიშები და გასცეთ დასკვნა ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტროდან მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ", თანახმად, შპს - „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია" უზრუნველყოფს არქიტექტურული ძეგლების რელოკალიზაციასა და

11296
03 12 13

მშენებლობის პროცესში გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტების შესწავლს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან და შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებებთან შეთანხმებით.

თავის მხრივ, შპს - „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია" მზად არის ზემო სვანეთში, ე.წ. „ხუდონჰესის" დატბორვის ზონის შემოგარენში მხარი დაუჭიროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებებსა და რეგიონის არქეოლოგიურ შესწავლას.

კომპანია „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია" აცნობიერებს რა, ეკლესიისა და იქ არსებული სამარხების რელოკაციისა და გადასვენების სირთულეს, უპირველეს მოვალეობად მიიჩნევს მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან. ასევე პროექტის განხორციელების დროს კომპანია სრულ პასუხიმგებლობას იღებს საპატრიარქოსთან შეთანხმებით ყველა კანონიკური წესის დაცვით ააშენოს ორი ეკლესია: ერთი სოფელ იდლიანში და მეორე სოფელ ვედში. ასევე კომპანია „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია" გამოთქვამს მზად ყოფნას თავისი პატრონაჟის ქვეშ აიყვანოს ხუდონის პროექტის არეალში მდებარე ძეგლები, აღადგინოს და მოუაროს მათ საქართველოს საპატრიარქოსა და კულტურის სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე.

კომპანია „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია" კიდევ ერთხელ გიდასტურებთ უღრმეს პატივისცემას პირადად თქვენ და ასევე თქვენ უწყებას და გამოთქვამს მჭიდრო თანამშრომლობის დიდ სურვილს.

უღრმესი პატივისცემით,

პაატა წერეთელი

კომპანია „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიის" დირექტორი

იხილეთ თანდართული დოკუმენტაცია

1. ხუდონჰესის დატბორვის ზონის არქეოლოგიური ანგარიში
2. დაბა ხაიშისა და მიმდებარე ტერიტორიის არქიტექტურული ძეგლების ინვენტარიზაციის ანგარიში